

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის ერთწლიანი ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მოგესალმებით ბატონო დეპუტატებო, მივესალმები აპარატის თანამშრომლებს, მედიის წარმომადგენლებს.

წარმოგიდგინებ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის ერთწლიან ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ 2017 წლის ნოემბრიდან დღემდე. ზუსტად 11 თვე გავიდა ამ მოწვევის საკრებულოს მოწვევიდან და შესაბამისად ამ დროის ანგარიშს წარმოგიდგინებ.

მინდა მადლობა ვუთხრა ჩემს ამომრჩეველს ამ შანისათვის, რომ ვარ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის წევრი. მადლობა საკრებულოს თავმჯდომარეს და ჩემს კოლეგებს, რომ მეორეჯერ, მეორე მოწვევაშიც რომ ამ კომისიის თავმჯდომარე ვარ.

წინა მოწვევის საკრებულოში მუშაობის პერიოდში და დღემდე ძალიან ბევრი რამ ვისწავლე, ძალიან ბევრი რამ შევიმიცნე და გავიზიარე. მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ საკითხთა კომისია მოიცავს მრავალ დარგს, სახელდობრ განათლებას, კულტურას, ჯანმრთელობას, სპორტს, ტურიზმს, ახალგაზრდულ საქმიანობას, ძირითადი ხაზი მაინც სოციალურ პრობლემებზე გადის. გულსატკეპნია, მაგრამ რეალობაა, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 60-70% სოციალურად დაუცველია და შესაბამისად კომისიის მუშაობაც მიდის ამ მიმართულებით. აქვე მინდა მადლობა ვუთხრა ჩვენი საკრებულოს მრავალპარტიულ შემადგენლობას, რომ მიუხედავად სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებებისა, როდესაც საკითხი ეხება სოციალურ პრობლემებს ამ დროს პოზიცია და ოპოზიცია ყველა ერთსულოვანია. საკრებულოში მუშაობისას როგორც წინა მოწვევაში, ასევე განვლილ თერთმეტ თვეში არ ყოფილა არცერთი ინიცირება, არცერთი ცვლილება არცერთი საკითხი, რომ საკრებულოს წევრთა სრული მხარდაჭერა არ ჰქონოდა.

მადლობა ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობას, იმათ, ვინც კენჭისყრაში მონაწილეობდა სრული მხარდაჭერისათვის, რომ ამ კომისიის თავმჯდომარე ვყოფილიყავი, რომლის შემადგენლობაც ითვლის 10 წევრს, საკრებულოში შემავალი ფრაქციებიდან. ესენი არიან იზოლდა სურმანიძე-„ქართული ოცნება“, ზაურ გობაძე-„ქართული ოცნება“, ავთანდილ გაბაიძე-„ქართული ოცნება“, ალექსანდრე პაიჭაძე-„ქართული ოცნება-კონსერვატორები“, ზურაბ ტუნაძე-„პატრიოტთა ალიანსი“, მინდია რიჟვაძე-„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“, თენგიზ ქედელიძე-„ევროპული საქართველო“, ნუგზარ გორგილაძე -„ნაციონალური მოძრაობა-ქრისტიან კონსერვატორები“, ოთარ შაინიძე- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

კომისია საკრებულოს რეგლამენტით და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულებით ახორციელებს მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს. კომისიის სხდომები კვარტალური გეგმის შესაბამისად იმართება თვეში ორჯერ, ჩატარებული გვაქვს რეგარემუ სხდომები.

სოციალურ საკითხთა კომისია განიხილავს განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის, სპორტის, ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს, სკოლამდელ და სკოლის გარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების, ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, მუზეუმების, თეატრის, გამოფენების, კულტურის სახლებისა და სასოფლო კლუბების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების საქმიანობას, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საკითხებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების პირობებს. კანონმდებლობით დადგენილი წესით უსახლკარო პირების თავშესაფრით უზრუნველყოფის გასატარებელ ღონისძიებებს.

მინდა გითხრა, რომ ჩვენს სხდომაზე განხილული ბევრი საკითხი მერიის მიზნობრივ პროგრამად იქცა.

მაგალითად „დაბა ბარაკების გარეშე“. შემოსული განცხადება განხილული იქნა ჯერ სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე, შემდეგ ბიუროზე და საკრებულოს სხდომაზე, რომელიც იქცა პროგრამად და მალე რამდენიმე ოჯახი იზიემებს ახალმოსახლეობას.

ასევე ჩემი კომისიის მიერ იქნა ინიცირებული საკრებულოს სხდომაზე სოციალურად დაუცველთათვის ვისაც ავარიულ მდგომარეობაში აქვთ სახლები, საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ხელშეწყობის პროგრამა. ამ პროგრამით 38 საცხოვრებელი სახლი იქნა აშენებული, ანუ 38 სოციალურად დაუცველ ოჯახს თავშესაფარი გაუჩნდა. სამწუხაროა, რომ აღნიშნული პროგრამა წელს ვერ განხორციელდა, რადგან ეს პროგრამა ფინანსდება ბიუჯეტში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯით.

დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის მერიაში სოციალური მიმართულებით მოქმედებს 11 მიზნობრივი პროგრამა, რისთვისაც ბიუჯეტიდან პროგრამაში ჩადებულია 449 610 ლარი, ხოლო ჯანმრთელობის მიმართულებით მოქმედებს 4 პროგრამა რაშიც ბიუჯეტიდან ჩადებულია 150 050 ლარი.

განათლების, კულტურის, ტურიზმის სპორტის და ახალგაზრდობის საქმიანობის მიმართულებით მოქმედებს სამი მიზნობრივი პროგრამა:

„კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა მხარდაჭერის პროგრამა“, დღეის მდგომარეობით გახარჯულია 107,259 ლარი, „წლის სპორტულ ღონისძიებათა მხარდაჭერის პროგრამა, 6 თვის მონაცემებით გახარჯულია 45.602 ლარი და ახალგაზრდობის სამოქალაქო საქმიანობაში ჩართულობისა და ხელშეწყობის პროგრამა“, ექვსი თვის მონაცემებით გახარჯულია 4.387 ლარი. სასიხარულოა, რომ აღნიშნულ სამსახურს დაემატა ახალი განყოფილება ტურიზმის მიმართულებით. უნდა აღვნიშნო ისიც რომ 2018 წელს ხულოს მუნიციპალიტეტში ტურისტთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, გაჩნდა ახალი ტურისტული წერტილები, სადაც ხდება ინფრასტრუქტურების მოწყობა, ესენია გოდერძი, ალპური ბოტანიკური ბაღი, მწვანე ტბა, ხიხანი და ა. შ. მე დარწმუნებული ვარ ტურიზმის განყოფილება უფრო მეტად შეუწყობს ხელს ჩვენს მუნიციპალიტეტში როგორც ტურისტთა რაოდენობის ზრდას, ასევე ინფრასტრუქტურის განვითარებას, მუნიციპალიტეტის რუკებზე გაჩნდება ახალი ტურისტული კერები.

კომისია პერიოდულად ისმენს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების, ასევე ა(ა)იპების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ხელმძღვანელთა ანგარიშებს და მათთან ერთად ადგენს სამუშაო გეგმას.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე დაყენებული ინიციატივის აიპებზე და განსაკუთრებით საბავშვო ბაღების სახელფასო ანაზღაურების მომატებასთან დაკავშირებით, რომელიც განხორციელებულ იქნა თუმცა მე დარწმუნებული ვარ, რომ ეტაპობრივად კვლავ გაიზრდება მათი ხელფასები. სასიხარულოა, რომ დღეის მდგომარეობით ხულოს მუნიციპალიტეტში მოქმედებს 20 საბავშვო ბაღი, სამი ბაღი ბელეთი, ზომაური, ზედა ვაშლოვანი კი უახლოეს პერიოდში გაიხსნება, რაც მისასალმებელია. აქვე ვიტყვი, რომ სკოლამდელი აღზრდის და განათლების კუთხით მიღებულია ახალი კანონი მიმდინარეობს სერიოზული ცვლილებები, ხდება საბავშვო ბაღების პერსონა და გადამზადებები, ასევე მოხდება ინფრასტრუქტურული მშენებლობები და საბოლოო ჯამში ავტორიზაციის შედეგად მივიღებთ საინტერესო ცვლილებებს.

სანამ განათლების მიმართულებით ვსაუბრობ მინდა აღვნიშნო ჩვენი მუნიციპალიტეტიდან სამი კურსდამთავრებულის (დაბა, ყინჩაური) 100% სახელმწიფო დაფინანსება მიულოცავ სკოლას, კურსდამთავრებულებს. ასევე ვიტყვი, რომ სოციალურ საკითხთა კომისია მუშაობს ახალ პროგრამაზე რომელიც ითვალისწინებს ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ჩარიცხულ წარჩინებულ სტუდენტებზე სტიპენდიის დანიშვნასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ ტბელის სახელობის სტიპენდიაზე. კომისია უახლოეს პერიოდში წარუდგენს აღნიშნული პროგრამის პროექტს საკრებულოს.

გარდა ამისა საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია აქტიურადაა ჩართული საკრებულოს სხდომებზე განსახილველი საკითხების მომზადება, განხილვა, დამტკიცების პროცესში და პერიოდულად წარუდგენს როგორც საკრებულოს, ისე საკრებულოს თავმჯდომარეს მის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით წარმომოხილ პრობლემებსა და პრობლემების გადაჭრის გზებზე.

2018 წლის 11 თვეში საკრებულოს თავმჯდომარისა და მერიის რეზოლუციით განსახილველად დამეწერა 201 კორესპონდენცია როგორც ინდივიდუალური, ასევე ერთობლივი. მინდა გითხრათ, რომ ყველა კორესპონდენციაზე გაცემულია ამომწურავი პასუხი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში, გარდა განცხადებებზე გაცემული პასუხებისა, გაკეთებულია შუამდგომლობები, მოხსენებითი ბარათები მერიის შესაბამის სამსახურებთან, სხვა ორგანიზაციებთან თუ კერძო იურიდიულ პირებთან.

კომისია აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის მიერ შექმნილ კომისიებში, განსაკუთრებით სოციალური მიმართულებით.

ზემოთ უკვე აღვნიშნე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში ხელშეწყობის პროგრამაზე, რომელიც საქართველოს მასშტაბით პირველი იყო და სხვათა შორის ახლა უკვე ბევრ მერიაში მოქმედებს.

წარმატებული პროგრამაა აგრეთვე სოციალურად დაუცველობისათვის თუნუქის ფურცლებით დახმარება. ამ პროგრამით დაახლოებით ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდში 150 ოჯახს გაეწია დახმარება.

სოციალურ საკითხთა კომისია მონაწილეობს აგრეთვე მერიაში შექმნილ სტიქიის შედეგად დაზარალებულთა ოჯახების აღრიცხვა-შესწავლისა და დაზარალებულ ოჯახებზე დახმარების კომისიაში.

ჩვენი ახალგაზრდობის სისტემატიური მონაწილეობა და წარმატებები რესპუბლიკური მასშტაბით არის ჩვენი დამსახურებაც, იმიტომ, რომ არ დარჩენილა არცერთი მათი მოთხოვნა და სურვილი დაუფინანსებელი ეს არის „ეტალონი“, ინტელექტუალური თამაშები თუ სპორტული შეჯიბრებები.

სამაყოა ბავშვთა თეატრის არსებობა და მისი წარმატებები, საკრებულოს აქტიური მხარდაჭერით შეიქმნა და დღესაც ჩვენი მხარდაჭერით შეიქმნა და დღესაც ჩვენი მხარდაჭერით აქვს წარმატებები.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ წინა მოწვევაშიც არაერთხელ დაყენებული და წელს უკვე პროექტის სახით ჩამოყალიბებული მოთხოვნა მუნიციპალიტეტისათვის მუნიციპალური სავადმყოფოს აუცილებლობის შესახებ. პირადად მე მქონდა ერთ-ერთ შეხვედრაზე პროექტის პრეზენტაცია, რაც მოწონებული იქნა და იმედია იქნება მხარდაჭერა ცენტრალური ხელისუფლებიდან. ჩვენი მუნიციპალიტეტი როგორც დემოგრაფიული მონაცემებით, ასევე გეოგრაფიულ-რელიეფური მდებარეობით საჭიროებს ამ ტიპის სავადმყოფოს.

არ შეიძლება არ აღვნიშნო „მთის კანონით“ მიღებულ სიკეთეებზე, რომელიც ბევრად წაადგა, როგორც სოციალურად დაუცველ ოჯახებს, ასევე მუნიციპალიტეტის მასშტაბით მცხოვრებ განათლების სფეროს, ჯანმრთელობის მიმართულებას და ბიზნეს გარემოს. უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენმა კომისიამ ბევრ სოციალურად დაუცველ ოჯახებს გაუწია შუამდგომლობა და დახმარება ამ მიმართულებით პაკეტით სარგებლობისათვის.

ანგარიში მინდა აღვნიშნო, აგრეთვე ისიც, რომ თერთმეტი თვის განმავლობაში რამდენჯერმე მქონდა შეხვედრა მუნიციპალიტეტის მასშტაბით საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად მოსახლეობასთან, სოციალურად დაუცველებთან პრობლემებზე.

პირადად სოციალურ საკითხთა კომისიას შედგენილი აქვს სახელობითი სია მარტოხელა, მარჩენალდაკარგულ და სოციალურად დაუცველ უბინაო ოჯახებისა, რომლებიც წლებია ნაჭირავებ ბინებში, გაუსადმის პირობებში ცხოვრობენ. კომისია მათი პირობების გაუმჯობესებისათვის პროგრამაზე მუშაობას გეგმავს.

სოციალურ საკითხთა კომისიის დამსახურებაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის ჯამბულ შანთაძის განცხადების კომისიაზე განხილვა და ინიციატივა ბარაკების პროგრამაში ცვლილებასთან დაკავშირებით, რომლითაც მუნიციპალიტეტის მერს უფლება მიეცა ერთ პირზე ბინის გადაცემის შესახებ. მაღლობა ამისათვის ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სრულ შემადგენლობას მხარდაჭერისათვის.

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია მუშაობას განაგრძობს საკრებულოს თავმჯდომარის მიერ ბრძანებით დამტკიცებული გეგმის შესაბამისად და მზად არის ნებისმიერი საკითხის ირგვლივ გამოვლენილი შენიშვნა მიიღოს და დააყენოს ინიციატივა, რომელიც ხელს შეუწყობს, როგორც კომისიის, ასევე საკრებულოს და რაც მთავარია ჩვენი მოსახლეობისა და განსაკუთრებით სოციალურად დაუცველთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, განვითარების, ჯანმრთელობის მიმართულებით წინსვლას, ახალგაზრდობისათვის უკეთესი პირობების შექმნას.

გმადლობთ ყურადღებისათვის.